საქმე .....
საქმე .....

0001136508847443

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

23 მარტი, 2023 წელი **ქ. ქუთაისი**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მოსამართლე - ნანა კალანდაძე

საჩივრის ავტორი (ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი) - .....

საჩივრის ავტორი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო) - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველო

გასაჩივრებული დადგენილება - ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილება

საჩივრის ავტორის .....-ის მოთხოვნა - გასაჩივრებული დადგენილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა

საჩივრის ავტორის .....-ის მოთხოვნა - გასაჩივრებული დადგენილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი დადგენილების მიღება

განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2022 წლის 16 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის

დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოდან გადაგზავნილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები ..... მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლითა და 173-ე მუხლის მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების შესაძლო ჩადენის თაობაზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა მასზედ, რომ 2022 წლის 06 ივლისს, ... სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" პირად გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი და პოლიციის თანამშრომლებს გამიზნულად, დამამცირებელი, პატივისა და ღირსების შემლახავი უცენზურო სიტყვების გამოყენებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამასთან, რამდენადაც, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ტექსტები ხელმისაწვდომია საზოგადოების ფართო მასებისთვის, აღნიშნული ქმედებით დაირღვა საზოგადოების იმ ნაწილის სიმშვიდე და მყუდროება, რომლებიც გაეცნენ მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, 2022 წლის 16 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტირების განყოფილების უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელ თენგიზ კვირკველიას მიერ შედგენილი იქნა …….. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც .....-ის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა, საქართველოს ასკ-ის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 173-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილებით შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება .....-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნაწილში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. საჩივრის ავტორი ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 თებერვლის დადგენილებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის ..... დადგენილების ტექსტში დაშვებული უსწორობა გასწორდა და ნაცვლად ტექსტისა ,,სამართალდამრღვევი ცნობილ უნდა იქნას სამართალდამრღვევად

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით და უნდა დაეკისროს ჯარიმა, 2000 ლარის ოდენობით“, მიეთითა - ,,სამართალდამრღვევი ცნობილ უნდა იქნას სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით და უნდა დაეკისროს ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით“.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილება გაასაჩივრა როგორც ..... ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტმა.

საჩივრის ვტორის თანახმად, 2022 წლის 06 ივლისს მან სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქის“ პირად გვერდზე ნამდვილად გამოაქვეყნა პოსტი, რომლითაც გამოხატა უკმაყოფილება პოლიციის თანამშრომლების მიმართ და გამოიყენა უცენზურო სიტყვები. თუმცა, ამის მიუხედავად მიაჩნია, რომ არ არსებობს მის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის.

საჩივრის ავტორი მიუთითებს ასკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალდარღვევას წარმოადგენს: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებით: ,,ასკ-ის 166-ე მუხლით დაცული სიკეთე საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე შეიძლება ხელყოფილ იქნას სოციალური ქსელის მეშვეობითაც, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 173-ე მუხლი წარმოადგენს ნორმას, რომლითაც დაცულია კონკრეტული სუბიექტების წრეში შემავალ პირთა კანონით დაცული ინტერესები, პირადი ღირსება, პატივი და ავტორიტეტი და ამ მხრივ, მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას, ასკ-ის 173-ე მუხლი სპეციალურ ნორმას წარმოადგენს".

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლოს აღნიშნული განმარტება არ

შეესაბამება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე (როგორც სპეციალური ნორმა) გონივრულ განმარტებას. ასკ-ის 166-ე მუხლის მიზანს ნამდვილად წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა მშვიდობის დაცვა, ამავდროულად აღნიშნული მუხლის მიხედვით სამართალდარღვევა სახეზეა მაშინ, როდესაც სახეზეა ,,საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს". საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მოცემული მუხლის მიზნებისთვის აკრძალულია არა ზოგადად შეურაცხყოფა, არამედ ისეთი შეურაცხყოფა, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა კი მხოლოდ პირისპირ შეურაცხყოფის დროს შეიძლება მოხდეს, რადგან ასეთ დროს ერთი მხრივ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე მყოფი პირები იძულებულნი ხდებიან მოისმინონ ლანძღვა-გინება, ხოლო მეორე მხრივ შეურაცხყოფის მომყენებელ პირსა და ადრესატს შორის ძალადობის მყისიერი რეალიზების საფრთხე არსებობს. პირისპირ კომუნიკაციისაგან განსხვავებით სოციალურ ქსელში ლანძღვა-გინებას შეუძლებელია გააჩნდეს მსგავსი ეფექტი. პირველ რიგში იმიტომ, რომ სოციალური ქსელის მომხმარებლები იძულებულნი არ არიან წაიკითხონ ლანძღვა-გინების განმახორციელებელი პირის მოსაზრებები - სოციალურ ქსელში მომხმარებლები თავად წყვეტენ როგორი შინაარსის მოსაზრებები წაიკითხონ და როგორი არა, მაშინ როდესაც პირისპირ შეურაცხყოფის დროს გარშემო მყოფი საზოგადოება ლანძღვა-გინების შემსწრე ხდება მისი სურვილის მიუხედავად. გარდა ამისა, სოციალურ ქსელში ლანძღვა-გინებას არ
გააჩნია მყისიერი ძალადობის რეალიზების შესაძლებლობა, რადგან შეურაცხმყოფელი და შეურაცხყოფის სუბიექტი ერთმანეთის პირისპირ არ არიან. აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორი შეუძლებლად მიიჩნევს სოციალურ ქსელში ლანძღვა-გინებით დაირღვევს საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრება. შესაბამისად, არასწორად მიაჩნია ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ სოციალურ ქსელში ლანძღვა-გინებას შესაძლოა მოჰყვეს 166-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ზემოხსენებულთან საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სასამართლომ ასკ-ის 173-ე მუხლი 166-ე მუხლის სპეციალურ ნორმად მიიჩნია, ზემოთ განვითარებული ლოგიკა უნდა გავრცელდეს 173-ე მუხლთან მიმართებითაც. 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რეალურ მიზანს არა სპეციალურ სუბიექტთა პატივისა და ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენს, არამედ იმ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისთვის საფრთხის შექმნის თავიდან არიდება, რომელსაც ეს პირები ახორციელებენ. როდესაც პირი პირისპირ ახდენს პოლიციელის შეურაცხყოფას, ამ დროს ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი და საფრთხე ექმნება პოლიციის მხრიდან საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას. ამისგან განსხვავებით, სოციალურ ქსელში ლანძღვა-გინებას არ გააჩნია მსგავსი ეფექტი, რადგან ასეთ დროს არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი

ლანძღვა -გინებასა და შესაბამის პირთა სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ხელის შეშლაში. მხარე აღნიშნავს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლო საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის ..... გადაწყვეტილებას სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ. მხარე მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება სოციალურ ქსელში სიძულვილის ენის რეგულირების და არა უხამსობის საკითხს. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სიძულვილის ენის გამო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც 166-ე მუხლი უხამსობისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. იმ ქვეყნებში, სადაც სიძულვილის ენა რეგულირებულია სამართალდარღვევის არსებობისთვის საკმარისია მხოლოდ სიძულვილის ენის გამოხატვა და მნიშვნელობა არ ენიჭება იმას გამოხატვას, შესაძლოა თუ არა თან ახლდეს ძალადობის მყისიერი საფრთხე. ამისგან განსხვავებით, ასკ-ის 166-ე მუხლით ისეთი ტიპის უხამსობაა აკრძალული, რომელსაც თან ახლავს ძალადობის მყისიერი საფრთხე, რასაც შეუძლია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ამდენად, მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ მითითებული ევროსასამართლოს გადაწყვეტილება არ არის რელევანტური მოცემულ საქმესთან და სააპელაციო სასამართლომ ასეთი არ უნდა მიიღოს მხედველობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი ითხოვს დადგენილების გაუქმებას და საქმის წარმოების შეწყვეტას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის საჩივრის თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის ..... დადგენილება არის დაუსაბუთებელი სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში (ადსკ-ის 166 მუხლი) **და აღნიშნავს, რომ საჩივრია ვტორის მიმართ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის ფაქტი გამოკვლეული და დადასტურებულია.**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2022 წლის 06 ივლისს ..... სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქის“ პირად გვერდზე, გამიზნულად გამოაქვეყნა პოლიციის თანამშრომლების პატივისა და ღირსების შემლახველი, დამამცირებელი პოსტი. უხამსი სიტყვებით, დედის მისამართით აგინებდა პოლიციის რამოდენიმე თანამშრომელს. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტი ზოგადი შინაარსის არ ყოფილა და შესაძლებელია მასში სამართალდამცავი ორგანოს კონკრეტული თანამშრომლების ამოცნობა, კერძოდ: პოლიციის .... განყოფილების უფროსის ..... (ფეისბუქ პოსტში მოხსენიებული ჰყავს როგორც (კალდუნა .....), ... განყოფილების უფროსის ....., უბნის ინსპექტორები, სამმართველოს უფროსი ..... და სხვა თანამშრომლები. აღნიშნულზე შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოში დაიწყო ადმინისტრაციული

საქმის წარმოება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166 და 173-ე მუხლებით. 2022 წლის 16 ივლისს ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელ ..... მიერ საჩივრის ავტორია მიმართ, შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №.....ოქმი.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ უზენაეს სასამართლოს აქვს არაერთი გადაწყვეტილება სადაც აღნიშნულია, რომ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსი თუ კომენტარი ითვლება საჯარო გავრცელებად. უზენაესი სასამართლო 2014 წლის 09 იანვრის, №ას-1559-1462-2012 გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესი, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა. შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ პროფაილი), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან, ერთ ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის ფეისბუქი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. ფეისბუქზე, კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტ გამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე. წ. სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება, ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს. ამდენად საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სოციალური ქსელი, მათ შორის ფეისბუქი წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს, სადაც საზოგადოების გარკვეული წევრები არიან შეკრებილი და ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები.

სოცილალური ქსელი ,,ფეისბუქი", დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში და განუსაზღვრელი წრისათვის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას .....-მა, როდესაც გამოაქვეყნა ფეისბუქის პირად გვერდზე უხამსი სტატუსი, ჰქონდა უამრავი ნახვა და კომენტარები, აღნიშნული აჭარის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაჟღერებული იქნა სასამართლოში, რაც არ უარყო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ზემოთხსენებული სტატუსი ხელმისაწვდომი იყო, როგორც ..... მეგობრების, ასევე ფეისბუქ გვერდის მომხმარებლებისათვის. მან შეგნებულად გახადა საკუთარი გვერდი ყველასათვის

ხელმისაწვდომი, მოიცვა სრულიად სოციალური ქსელი. შესაბამისად .....პასუხისმგებელი იყო საკუთარ ქმედებაზე. **საჯარო სივრცეში გავრცელებით საჩივრის ავტორის მიზანი იყო შეურაცხყოფა მიეყენებინა პოლიციის თანამშრომლებისათვის და ამით შეელახა პოლიციის ავტორიტეტი. ამასთან საჩივრის ავტორის თვალზარისით განსახილველ შემთხვევაში მისი მხრიდან სახეზეა წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის ფაქტიც, კერძოდ ასკ-ის 166-ე მუხლის შემადგენლობაც, რაც გულისხმობს საზოგადოების თავშეყრის ადგილზე ლანძღვა-გინებას, მოქალაქეზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას, რითაც დაარღვია მათი სიმშვიდე და მყუდროება.**

საჩივრის ავტორი საჩივრით წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების დასასაბუთებლად აპელირებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 10 ივნისის №4/ა-169-21წ დადგენილებაზე, სადაც სასამართლო განმარტავს იმის შესახებ, რომ ,,თანამედროვე რეალობაში კარგად ჩანს, რომ საზოგადოებრივი კომუნიკაციისა და თავშეყრის ერთ-ერთი და საკმაოდ კომფორტული ადგილი სწორედ სოციალური ქსელია. იმისათვის, რომ საზოგადოება წვრილმანი ხულიგნობის ფაქტის თვითმხილველი გახდეს საერთოდ არ არის აუცილებელი ფიზიკურად შეესწროს ამ ფაქტს, მაშინ როდესაც კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ყველა ნიშანი გამოიხატება პირის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ქმედებაში. სოციალური ქსელი ფეისბუქი არის სოციუმი, სადაც თავმოყრილია საზოგადოება და მოქმედებს საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი იგივე ნორმა, რაც ჩვენს ირგვლივ არსებულ რეალურ ურთიერთობაში“. ამავე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, 2021 წლის 24 ივნისის №4/ა-169-2021წ დადგენილებაში იკითხება: ,,კანონის ტექსტი ჩვეულებრივ აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებებიც განმარტებას მოითხოვს. რადგან ზოგადი მცნებები ხშირად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს სამართლის ნორმის განმარტება, რაც გულისხმობს მის შინაარსში სწორად გარკვევას, იმის დადგენას თუ რა მოიაზრა მასში კანონმდებელმა. ნორმის განმარტება ხორციელდება სამართლის შეფარდების პროცესში, კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში. ამავე დროს ნორმის განმარტებას უნდა ქონდეს საყოველთაო და ზოგადი მოქმედების პრეტენზია. მან გონივრული შედეგი უნდა მოგვცეს სხვა სავარაუდო შემთხვევების მიმართაც. ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით, რა დროსაც ნორმის შინაარსის ახსნა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით. გრამატიკული განმარტების პროცესში სიტყვა უნდა განიმარტოს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ჰქონდა კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის. თუმცა თუ დროთა განმავლობაში სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა და მან შეიძინა სხვა დატვირთვაც, განმარტება უნდა მოხდეს სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ამასთან განმარტება უნდა გამომდინარეობდეს კონსტიტუციური მართლსწესრიგიდან და უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული ურთიერთობის სწორ სამართლიან

გადაწყვეტას, რომლის კონკრეტულ გადაწყვეტილებაში რეალიზაცია არის მართლმსაჯულების ფუნქცია. ამდენად სასამართლომ უნდა იმოქმედოს მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში. იმ ღირებულებების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლის სისტემას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმის შეფარდებისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, ის სიახლეები რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დაინერგა. მათ შორის ტექნოლოგიური პროგრესი და ნოვაციები, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. მსგავსი განმარტება აქვს გაკეთებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს №4/ა-869-2022წ დადგენილებაში (ადვოკატ დავით ციცნცქილაძემ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ გაავრცელა პატივისა და ღირსების შემლახველი პოსტი, აგინებდა დედის მისამართით, ოჯახს, მკვდარსა და ცოცხალს). პალატის აზრით იმისათვის, რომ საზოგადოება წვრილმანი ხულიგნობის ფაქტის თვითმხილველი გახდეს საერთოდ არ არის აუცილებელი ფიზიკურად შეესწროს ამ ფაქტს, მაშინ როდესაც, კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ყველა ნიშანი გამოიხატება პირის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ქმედებაში. სოციალური ქსელი ,,ფეისბუქი" არის სოციუმი, სადაც თავმოყრილია საზოგადოება და მოქმედებს საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი იგივე ნორმა, რაც ჩვენს ირგვლივ არსებულ რეალურ ურთიერთობებში**“.**

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ევროპულმა სასამართლომ 2021 წლის 02 სექტემბერს დაადგინა, რომ ,,ფეისბუქის" მომხმარებელი პასუხისმგებელია მის გვერდზე დატოვებული სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებზე და ეთანხმება სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, სოციალური ქსელების მომხმარებელს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მის გვერდზე სხვა ადამიანების მიერ დატოვებულ კომენტარებზე.

ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი არ ეთანხმება ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებას, თითქოს სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებული სტატუსი წვრილმან ხულიგნობად არ უნდა შეფასდეს. მხარე განმარტავს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი არის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდეს და ცხოვრების ნორმალურ რიტმს. ეს გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ქცევაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი მიუთითებს, რომ წვრილმან ხულიგნობას წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს. აღნიშნული დეფინიციიდან
ნათელია, რომ ქმედების წვრილმან ხულიგნობად მიჩნევისათვის მნიშვნელოვნად

განმსაზღვრელია საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დარღვევა. ამ დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ჩადის ისეთ ქმედებას, რომლითაც არაფრად აგდებს საზოგადოებას. .."

ფეისბუქი წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ სახეზეა სამართალდარღვევის გადაცდომის ფაქტი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ასკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც დასჯადია ამავე მუხლით გათვალისწინებული სანქციის შესაბამისად. ამდენად, საჩივრის ავტორი ითხოვს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის დადგენილების ნაწილობრივ გაუქმებას, ...ის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით .... - ი ს ცნობას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ასკ-ის 166-ე მუხლით და შესაბამისი სახდელის გამოყენებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის საჩივართან მიმართებით მოსაზრება წარმოადგინა .....-მ რომლითაც არ დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარს და აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარში არასწორადაა მითითებული რიგი ფაქტობრივი გარემოებები. მისი მხრიდან განხორციელებული ქმედება თავსდება სიტყვისა და გამოხატვის ფარგლებში, შესაბამისად მისი მიერ ადგილი არ ჰქონია ასკ-ის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ჩადენას.

.....-ის საჩივართან მიმართებით მოსაზრება წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტმა, რომლითაც არ დაეთანხმა საჩივრის ავტირის საჩივარს და თავის მხრივ მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქმის მასალების გაცნობისა და წარმოდგენილი საჩივრების ფარგლებში გასაჩივრებული დადგენილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორსა და აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან პალატას მიაჩნია, რომ აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის საჩივარში განვითარებული სამართლებრივი თვალსაზრისი გასაზიარებელია, თუმცა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე სახეზეა მოცემულობა, რომელიც გამორიცხავს საჩივრით წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და პირველი

ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგის შეცვლის შესაძლებლობას. ამდენად, გასაჩივრებული დადგენილება უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. იმავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რომელიც ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, ამავდროულად, სააპელაციო პალატა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (Hirvisaari v. Finland, §32; ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, N7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81) გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას; გარდა ამისა, **აღნიშნული უფლება ზედა ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევს დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე.**

ზემოხსენებულთან ერთად სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგ განმარტებაზე: „სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოასწოროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებულობა და, პირიქით, ძალიან მოკლე მსჯელობა საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ; **ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება, არ არღვევს დასაბუთებელი გადაწყვეტილების უფლებას“** (Gorou v. Greece (N.3) §§ 38-42).

განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე

მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა ეთანხმება და <u>ნაწილობრივ</u> იზიარებს საქალაქო სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

პალატა აღნიშნავს, რომ საჩივრის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილება გასაჩივრებულია .....-ის ადსკ-ის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სამართალდამრღვევად ცნობის ნაწილში. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილება გასაჩივრებულია .....-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მათი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონის დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება.

პალატა აღნიშნავს, რომ პირის სამართალდამრღვევად ცნობისათვის და შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადებისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა, ხოლო შემდეგ მისი ბრალეულობა ამ ფაქტის დადგომაში, რაც უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებებით, ხოლო თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებად მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას

წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

პალატა მითითებულ სამართლებრივ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათა შეფარდება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1635-1589 (კ-08)).

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2022 წლის 16 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტირების განყოფილების უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელ .....-ის მიერ შედგენილი იქნა №..... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მასზედ, რომ 2022 წლის ....., ...-მა სოციალურ ქსელ
„ფეისბუქის“ პირად გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი და პოლიციის თანამშრომლებს გამიზნულად, დამამცირებელი, პატივისა და ღირსების შემლახავი უცენზურო სიტყვების გამოყენებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამასთან, რამდენადაც, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ტექსტები ხელმისაწვდომია საზოგადოების ფართო მასებისთვის, აღნიშნული ქმედებით დაირღვა საზოგადოების იმ ნაწილის სიმშვიდე და მყუდროება, რომლებიც გაეცნენ მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსს.

საქმის მასალების შესწავლის, მხარეების ახსნა-განმარტებების მოსმენის

შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად და უდავოდ მიიჩნია, რომ 2022 წლის …., ...-მა სოციალური ქსელ „ფეისბუქის" პირად გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი და პოლიციის კონკრეტულ თანამშრომლებს, რომელთა იდენტიფიცირება მათი სამუშაო ადგილის და სახელების მიხედვით, შესაძლებელია) კერძოდ, პოლიციის .... განყოფილების უფროსს, ...-ს („კალდუნა" .....) და პოლიციის ..... განყოფილების უფროსს, როგორც თავად .....-მა სასამართლოს დაუკონკრეტა, ირაკლი გორგილაძეს გამიზნულად, დამამცირებელი, პატივისა და ღირსების შემლახავი უცენზურო სიტყვების გამოყენებით (როგორიცაა უშუალოდ მათი და ახლო ნათესავების ბილწი გინება, უხამსი, დამამცირებელი შედარებებითა და ეპიტეთებით მიმართვა) მიაყენა შეურაცხყოფა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოცემული საქმის კანონიერი გადაწყვეტა ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და სასამართლოს მიერ ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტების კვალიფიციურ დადგენას საქმეში დაცული მტკიცებულებების ერთობლიობაში განხილვით.

პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე. ამავე კოდექსის 264-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განმხილველი უფლებამოსილი ორგანო საქმეთა განხილვისას მოვალეა პიროვნების სამართალდამრღვევად ცნობისათვის და შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადებისათვის დაადგინოს ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობით საქმიანობას წარმოადგენს და სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი კვალიფიკაციის, სამართლებრივი ნორმის შეფარდებასთან. სამართალდამრღვევისათვის სანქციის შეფარდება აუცილებლად მოიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებების,

ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებათა გამოკვლევა-დადგენასა და შეფასებას.

პალატა განმარტავს, რომ პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა არის საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს და გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებებისა და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა − გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარიდან 2000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 15 დღემდე ვადით.

<u>სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს განსახილველ სამართალდარღვევის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადმოცემულ სამართლებრივ შეფასებებს</u> და მიაჩნია, რომ ..... მართებულად იქნა მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო.

სააპელაციო პალატა უპირველესად მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ კანონის ტექსტი, ჩვეულებრივ აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებებიც განმარტებას მოითხოვს, რადგან ზოგადი ცნებები ხშირად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს სამართლის ნორმის განმარტება, რაც გულისხმობს მის შინაარსში სწორად გარკვევას, იმის დადგენას, თუ რა მოიაზრა მასში კანონმდებელმა. <u>ნორმის განმარტება ხორციელდება სამართლის შეფარდების პროცესში, კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში.</u> ამავე დროს ნორმის განმარტებას უნდა ჰქონდეს საყოველთაო და ზოგადი მოქმედების პრეტენზია, მან გონივრული შედეგი

უნდა მოგვცეს სხვა, სავარაუდო შემთხვევების მიმართაც. ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით, რა დროსაც ნორმის შინაარსის ახსნა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით. გრამატიკული განმარტების პროცესში სიტყვა უნდა განიმარტოს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ჰქონდა კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის, თუმცა, <u>თუ დროთა განმავლობაში სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა და მან შეიძინა სხვა დატვირთვაც, განმარტება უნდა მოხდეს სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით</u>. ამასთან განმარტება უნდა გამომდინარეობდეს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან და უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული ურთიერთობის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას, რომლის კონკრეტულ გადაწყვეტილებაში რეალიზაცია არის მართლმსაჯულების ფუნქცია. ამდენად, სასამართლომ უნდა იმოქმედოს მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში, იმ ღირებულებების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლის სისტემას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმის შეფარდებისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის სიახლეები, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დაინერგა, მათ შორის ტექნოლოგიური პროგრესი და ნოვაციები, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

მოცემულ შემთხვევაში **შესაფასებელ ქმედებას-წვრილმან ხულიგნობას,** როგორც ამას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი განმარტავს, **წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს,** რაც იწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებებისა და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ განსახილველ შემთხვევაში განსამარტია, წარმოადგენს თუ არა სოციალური ქსელი ,,ფეისბუქი" საზოგადოებრივ ადგილს და ამ სივრცეში განხორციელებული პირის ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება შეიძლება თუ არა შეფასდეს წვრილმან ხულიგნობად და .....-ის მიერ სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქის" მეშვეობით სიტყვიერი შეურაცხყოფა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებად. ამასთან უნდა გაკეთდეს ანალიზი, თუ სად გადის ზღვარი პოლიციელის თმენის ვალდებულებას, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ქმედებას

შორის.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ **საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წარმოადგენს ადგილი, სადაც საზოგადოების გარკვეული წევრები არიან შეკრებილი და სადაც ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები.**

<u>სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტა მოითხოვს კანონის (ნორმის) ევოლუციურ განმარტებას და საზოგადოების თავშეყრის ადგილად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სოციალური ქსელი, </u>რომელიც დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში და განუსაზღვრელი წრისათვის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას წარმოადგენს. ამჟამად, ახალი კორონავირუსით (COVID 19) გამოწვეული პანდემიის პირობებში შექმნილმა რეალობამ კი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა, რომ <u>როდესაც ფიზიკურ გარემოში ადამიანთა შეკრება შეზღუდულია, ან შეუძლებელია, საზოგადოებრივი კომუნიკაციის და თავშეყრის ერთერთი (თუ ერთადერთი არა) და ყველაზე კომფორტული ადგილი ხდება სწორედ სოციალური ქსელი და იმისათვის, რომ საზოგადოება წვრილმანი ხულიგნობის ფაქტის თვითმხილველი გახდეს, საერთოდ არ არის აუცილებელი ფიზიკურად შეესწრონ ამ ფაქტს, მაშინ როდესაც კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ყველა ნიშანი გამოიხატება პირის მიერ სოციალურ ქსელში განხორციელებულ ქმედებაში.</u>

პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 იანვრის Nას-1559-1462-2012 გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. **სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული**

მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს.

<u>ამდენად, სააპელაციო სასამართლოს თვალსაზრისით ,სოციალური ქსელი, მათ შორის ,,ფეისბუქი", წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები, ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივ წესრიგს, სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ეს არის საზოგადოების წევრთა ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ საზოგადოების სიმშვიდეს და გამოხატულებას ჰპოვებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ღირსეულ ქცევაში. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობაც სწორედ საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის მიზანს ემსახურება.</u> აღნიშნული ნორმა წარმოდგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა კოდექსის XIII თავში (საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარვევები), რომლით დაცული ობიექტი (სიკეთე) არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდი, არამედ მთლიანად საზოგადოება და საზოგადოებრივი წესრიგია.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის საჩივარში გადმოცემულ სამართლებრივ თვალსაზრისს და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებით დადგენილად მიიჩნევს, რომ .....-ის ქმედება, განხილულ ვერ იქნება ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით დაცულ ქმედებად. ამასთან ასეთი ქმედების სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება თმენის ვალდებულების მოტივაციით მოკლებულია არათუ სამართლებრივ საფუძველს, არამედ ასევე ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ პრინციპებს.

სააპელაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც **ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია**

დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან **<u>მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების, ან ღირსების დასაცავად,</u>** საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ამავე კონვენციის მე-17 მუხლის მიხედვით, ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, არარად აქციოს კონვენციით განსაზღვრული რომელიმე უფლება თუ თავისუფლება ან შეზღუდოს ის იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული გამოხატვის თავისუფლების უფლება გარანტირებულია ასევე ეროვნული კანონმდებლობითაც. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტი დასაშვებად მიიჩნევს ამ უფლებათა შეზღუდვას მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, **სხვათა უფლებების დასაცავად,** კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი დასაშვებად მიიჩნევს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვის დაწესებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. **მითითებული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, <u>კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება უხამსობას.</u>**

<u>ამდენად, მართალია, დემოკრატიული საზოგადოებისათვის, სიტყვის თავისუფლების ხარისხი მიიჩნევა დემოკრატიულობის საზომად, მაგრამ</u>

<u>აღსანიშნავია ისიც, რომ დემოკრატია და თავისუფლება არასდროს არ ნიშნავს აულაგმავ თვითნებობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისუფლება არ არის აბსოლუტური: პირი ,რომელიც საზოგადოების წევრია, ვერ იქნება თავისუფალი, რადგან იმთავითვე განსაზღვრულია, რომ მისი ,,უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.</u>

ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ადამიანის უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, ფორმულირებული უნდა იყოს საკმარისი სიცხადით, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი კონსულტაციით, მოცემული შემთხვევისთვის გონივრული დოზით განჭვრიტონ კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგები. არ არის აუცილებელი, რომ ეს შედეგები აბსოლუტური სიზუსტით იყოს წინასწარგანჭვრეტადი (დელფი AS ესტონეთის წინააღმდეგ (Delfi AS v. Estonia), განაცხადი no. 64569/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 18).

სააპელაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ ნებისმიერი სამართალდარღვევა, უპირველესად, ვიდრე ის საკანონმდებლო დეფინიციას მიიღებს, წარმოადგენს კულტურის ნორმების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას. თავად სოციალური ქსელი ,,ფეისბუქი" კრძალავს და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ზღუდავს ინტერნეტ სივრცეში სიძულვილის ენას და შეურაცხმყოფელ კომენტარებს. შესაბამისად, სოციალური ქსელისთვის ასევე ფუნდამენტურია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დანაწესი, რომლის თანახმად: ,,უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა, დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში."

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებულ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთის მხრივ თავად სოციალური ქსელის ხასიათი და თავისებურებანი, კერძოდ აღნიშნული წარმოადგენს ინტერნეტის მომხმარებელ პირთა კომუნას (ადამიანთა კოლექტივს), სადაც მოქმედებს საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი იგივე ნორმები, რაც ჩვენს ირგვლივ არსებულ რეალურ ურთიერთობაში. შესაბამისად, სოციალური ქსელის

მომხმარებლებისათვის და ეს არის თანამედროვე საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, ქსელი წარმოადგენს სოციუმს, სადაც ადამიანები ჩართულნი არიან ყოველდღიურად, <u>ცნობიერად მონაწილეობენ აღნიშნულ სივრცეში მიმდინარე მოვლენებში</u> და ფაქტიურად სოციალურ ქსელში მიმდინარე ყველა მოვლენა მჭიდრო კავშირშია და გამომდინარეობს რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებთან.

პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთ-ერთ მიზნად აღიარებულია მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.

<u>**განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ**</u> …… წლის …….-მა სოციალური ქსელ „ფეისბუქის" პირად გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი და პოლიციის კონკრეტულ თანამშრომლებს, რომელთა იდენტიფიცირება მათი სამუშაო ადგილის და სახელების მიხედვით, შესაძლებელია) კერძოდ, პოლიციის …. განყოფილების უფროსს, ……-ს („კალდუნა" ……) და პოლიციის …… განყოფილების უფროსს, როგორც თავად ……-მა სასამართლოს დაუკონკრეტა, ……-ს გამიზნულად, დამამცირებელი, პატივისა და ღირსების შემლახავი უცენზურო სიტყვების გამოყენებით (როგორიცაა უშუალოდ მათი და ახლო ნათესავების ბილწი გინება, უხამსი, დამამცირებელი შედარებებითა და ეპიტეთებით მიმართვა) მიაყენა შეურაცხყოფა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, აზრის გამოხატვა ზემოქმედების თვალთახედვით თავისუფალია, მაგრამ თუ იგი ზიანს აყენებს სხვათა კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, რომლის დაცვაც სიტყვის თავისუფლებასთან მიმართებით უპირატესობას იმსახურებს, მაშინ ეს ხელყოფა ნებადართული არ იქნება, იმაზე დაფუძნებით, რომ ეს აზრის გამოხატვის შედეგად ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში აზრის გამოხატვის უფლებაზე პრიორიტეტს იძენს ის უფრო მაღალი რანგის ინტერესები, რომლებიც დაცვას იმსახურებს და სიტყვის თავისუფლების გამოყენებით შეილახება. არსებობს თუ არა სხვათა ამგვარი უპირატესი ინტერესები, დასადგენია შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებით

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ……-ის მიერ პოლიციის თანამშრომლების მიმართ გავრცელებულმა პოსტებმა უდაოდ გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რადგან ეს პოსტი ხელმისაწვდომი გახდა როგორც

.....-ის ასევე სხვა ფეისბუქმომხმარებლებისთვისაც, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ პოსტების მხილველთა წრე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. მოცემული მსჯელობით სააპელაციო პალატა მიუთითებს იმაზე, რომ .....-ის სოციალურ ქსელში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხელმისაწვდომი გახდა ადამიანთა (საზოგადოების წევრთა) განუსაზღვრელი წრისთვის.

სააპელაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ სოციალური ქსელი საზოგადოების ჩვეულებრივი თავშეყრის ადგილიდან განსხვავდება იმით, რომ ადამიანებს ერთმანეთთან კომუნიკაცია უწევთ ტექნიკური საშუალებით (კომპიუტერი, ტელეფონი, სმარტფონი და ასე შემდეგ), მათ შეუძლიათ გაეცნონ ერთმანეთის პოსტებს, ასევე ვიდეო ფირის ატვირთვის ან პირდაპირი ტრანსლაციის შემთხვევაში უყურონ მათ და ასე შემდეგ, ხოლო საზოგადოების ჩვეულებრივ თავშეყრის ადგილას ეს ყველაფერი ხდება ტექნიკური საშუალების გამოყენების გარეშე პირდაპირი, ვიზუალური, მხედველობითი და სმენითი აღქმით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დაცული სიკეთე - საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე შეიძლება ხელყოფილ იქნას როგორც ჩვეულებრივი თავშეყრის ადგილას, ასევე სოციალური ქსელით (რომელიც როგორც უკვე შეფასდა, საზოგადოების თავშეყრის ადგილია), რადგან <u>წინააღმდეგ შემთხვევაში ფეისბუქმომხმარებელი, რომელიც საზოგადოების წევრია, უნდა დავავალდებულოთ, რომ არ შეხედოს, არ წაიკითხოს და არ აღიქვას იგივე მომხმარებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოცემულ შემთხვევაში ხულიგნობა), რაც საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს უდაოდ არღვევს. ასევე</u> სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება

<u>ამრიგად, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ...... - ის ქმედებით მკვეთრად გადაიკვეთა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ზღვარი და მისი ქმედება მოექცა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების რეგულაციაში, რომელიც დასჯადია ამავე მუხლებით გათვალისწინებული სანქციის შესაბამისად.</u>

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პალატა სრულად იზიარებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის განმარტებას მასზედ, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა <u>.....-ის</u> მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კოდექსი განსაზღვრავს, თუ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, **არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. განსახილველ შემთხვევაში** სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადებს. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 4 თვეს, გარდა ამ კოდექსის 57^1 მუხლით, 57^3 მუხლის მე-2 ნაწილით, 57^4, 63-ე, 66-ე, 66^2, 66^4 და 79^1–79^3 მუხლებით, 79^4 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 79^5 მუხლით, 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით და 159^5–159^9 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლში მოცემულია **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხავი გარემოებები. აღნიშნული მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა.**

<u>განსახილველ შემთხვევაში, მართალია, სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის პოზიციას, თუმცა ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებზე და იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ 2022 წლის 06 ივლისიდან სახდელის დადების ოთხთვიანი ვადა ამოიწურა 2022 წლის 06 ოქტომბერს, რაც ნიშნავს იმას, რომ სახდელის დადება შესაძლებელი იყო 2022 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით, მოცემული საქმე კი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად შემოვიდა 2023 წლის 28 თებერვალს, ანუ მას შემდეგ, რაც გასული იქნა სახდელის დადების კანონით დადგენილი ვადა, მიაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს საჩივრით წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგის შეცვლის შესაძლებლობას.</u>

რაც შეეხება საჩივრის ავტორის .....-ის ვილის საჩივარს სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის − დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა) – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა − გამოიწვევს დაჯარიმებას 3500 ლარიდან 4500 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღიდან 15 დღემდე ვადით.

ადმინისტრაციული საქმეთა პალატა მიუთითებს ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს. კანონის მიზანია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა. კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო წოდებების მქონე პირების საქმიანობაზე.

ამავე კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს.

ზემოაღნიშნული კანონის 18.2 მუხლის თანახმად, პოლიცია სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ამ კანონის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის სახელმწიფოს წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო. პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველასათვის. არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს, პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელისათვის ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დეფინიციით, ერთ-ერთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება. დავის სამართლებრივი რეგულაციისათვის სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა განიმარტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დეფინიციის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

სააპელაციო პალატა ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებით მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ კანონის ტექსტი, ჩვეულებრივ აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებებიც განმარტებას მოითხოვს, რადგან ზოგადი ცნებები ხშირად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს სამართლის ნორმის განმარტება,რაც გულისხმობს მის შინაარსში სწორად გარკვევას, იმის დადგენას, თუ რა მოიაზრა მასში კანონმდებელმა. <u>ნორმის განმარტება ხორციელდება სამართლის შეფარდების პროცესში, კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში.</u> ამავე დროს ნორმის განმარტებას უნდა ჰქონდეს საყოველთაო და ზოგადი მოქმედების პრეტენზია, მან გონივრული შედეგი უნდა მოგვცეს სხვა, სავარაუდო შემთხვევების მიმართაც. ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით, რა დროსაც ნორმის შინაარსის ახსნა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით.

გრამატიკული განმარტების პროცესში სიტყვა უნდა განიმარტოს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ჰქონდა კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის, თუმცა, <u>თუ დროთა განმავლობაში სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა და მან შეიძინა სხვა დატვირთვაც, განმარტება უნდა მოხდეს სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით</u>. ამასთან განმარტება უნდა გამომდინარეობდეს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან და უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული ურთიერთობის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას, რომლის კონკრეტულ გადაწყვეტილებაში რეალიზაცია არის მართლმსაჯულების ფუნქცია. ამდენად, სასამართლომ უნდა იმოქმედოს მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში, იმ ღირებულებების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლის სისტემას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმის შეფარდებისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის სიახლეები, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დაინერგა, მათ შორის ტექნოლოგიური პროგრესი და ნოვაციები, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად განმარტავს, რომ ნორმის სრული შინაარსისა და ნორმით დასარეგულირებელი სამართლებრივი ურთიერთობის, ასევე, რეგულირების ობიექტის გათვალისწინებით, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დრო არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ პერიოდით, როდესაც ის გამოავლენს სამართალდარღვევის, დანაშაულის, ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხასიათის ფაქტს და ადგილზე განახორციელებს საქმის წარმოების სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს, არამედ ამ დროში იგულისხმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ან/და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შემდგომი პროცედურების განხორციელების დროც და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ნებისმიერი მოქმედება, სამსახურებრივი მდგომარეობა, რაც უკავშირდება კონკრეტული საქმის წარმოებას. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში იგულისხმება ნებისმიერი საქმიანობის ფორმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე. <u>შესაბამისად ნორმა პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფის სახით არ გულისხმობს მხოლოდ იმ მართლსაწინააღმდეგო ქცევას, რომელიც ხდება უშუალოდ სამართალდარღვევის ჩადენის/გამოვლენის, ან რომელიმე საპროცესო მოქმედების განხორციელების ადგილას. ნორმა მხოლოდ ამგვარი შინაარსით არ შემოიფარგლება და იგი გაგებულ უნდა იქნას გონივრულად, კანონის მიზნებიდან გამომდინარე.</u>ამდენად, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ამ პირის სიტყვიერი, ან სხვა ფორმით შეურაცხყოფის სახით, თუნდაც სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის, ან გამოვლენის, სისხლის

სამართლის საქმის საპროცესო მოქმედების განხორციელების შემდეგაც, მიმართულია მართლწესრიგის ხელყოფისაკენ, გულისხმობს/წარმოადგენს სწორედ პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ შეურაცხმყოფელ ქმედებას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ასკ-ის 173-ე მუხლით.

სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს .....-ის საჩივარში განვითარებულ სამართლებრივ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ თითქოსდა 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის მიზანს არა სპეციალურ სუბიექტთა პატივისა და ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენს, არამედ მხოლოდ იმ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისთვის საფრთხის შექმნის თავიდან არიდება, რომელსაც ეს პირები ახორციელებენ, რადგან აღნიშნული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებაც კი ნათლად ცხადჰყოფს კანონმდებლის რეალურ მიზანს, რაშიც უპირველესად სწორედაც რომ მოიაზრება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის პატივი და ღირსების დაცვა, რადგან ასეთის შელახვით ირღვევა მმართველობის დადგენილი წესი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ .....-ის მიერ პოლიციელების- .....-ისა და .....-ის მიმართ წარმოთქმული სიტყვები, ბილწი გინება პირადად მათი, ასევე, დედის, ოჯახის მისამართით, უხამსი, დამამცირებელი შედარებები და ა.შ. სხვა მსგავსი ფრაზები, წარმოადგენდა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ზიანს აყენებდა როგორც კონკრეტული პოლიციელების პატივს და ღირსებას, ისე ამ სამართალდამცავი ორგანოს ავტორიტეტს და შესაბამისად, სცილდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს.აღნიშნულთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე სწორად განმარტა, რომ .....-ის მიერ გამოთქმული უხამსობის (რასაც შეიცავს „ფეისბუქის“პირად გვერდზე გამოქვეყნებული პოსტი) დეფინიციას განსაზღვრავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, უხამსობა არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს, ხოლო იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონით დაშვებულია სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება უხამსობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, სახელმწიფო მოხელის მიმართ არსებობს კრიტიკის შედარებით ვიწრო ფარგლები, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ მაგალითად, პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ისინი შეგნებულად არ იყენებენ თავს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, მათ ეკისრებათ ე.წ. ,,თავშეკავებულობის

მოთხოვნა“, რაც ნიშნავს, რომ პასუხის გაცემის საშუალებები უშუალოდ მათ შეზღუდული აქვთ და ისინი ვალდებული არიან იზრუნონ სახელმწიფო სამსახურის ავტორიტეტზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს მათი რწმენა ანუ სახელმწიფო მოხელეები, სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ნდობით. ამიტომ მათი დაცვა სამართლებრივი გზით შეურაცხმყოფელი კრიტიკისაგან აუცილებელია ... (იხ. საქმე Janowski v. Poland,21.01.1999, ასევე, სახელმძღვანელო - ,,გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურლირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“, ავტორი - ევა გოცირიძე, თბილისი, 2007 წელი).

სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას იმ თვალსაზრისითაც, რომ განსახილველ შემთხვევაში ტექსტის შინაარსის შესაბამისად, თავად იმ პირებისათვის, რომელთა მიმართაც იქნა გამოყენებული შეურაცხყოფის მიყენების განსახილველი ფორმა სოციალური ქსელში შეურაცხმყოფელის სტატუსის გამოქვეყნების სახით, მარტივად ამოსაცნობია საკუთარი თავი, პოლიციის უწყებაში დაკავებული სამსახურებრივი პოზიციების დასახელების შესაბამისად, ქ. ბათუმის სამმართველოს პოლიციის ..... განყოფილების უფროსი და პოლიციის ..... განყოფილების უფროსი, რაც თავად .....-მაც დაადასტურა სასამართლო სხდომაზე, რომ სწორედ ეს კონკრეტული პოლიციელები ჰყავდა მას მიზანმიმართულად ამორჩეული, რომლებისთვისაც სურდა ასეთი ფორმით მიემართა, როგორც თავად განმარტავს, მისი და თავისი შვილის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩადენილი, უკანონო მოქმედებების მიზეზით.

პალატა ასევე იზიარებს საქალაქო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას .....-ის მიერ ჩადენილი ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მხოლოდ 173-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ასკ 173-ე მუხლი წარმოადგენს ნორმას, რომლითაც დაცულია კონკრეტული სუბიექტების წრეში შემავალ პირთა (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, აღსრულების პოლიციელი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის რევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურე ან მასთან გათანაბრებული პირი) კანონით დაცული ინტერესები, პირადი ღირსება, პატივი და ავტორიტეტი და ამ მხრივ, მოცემული სამართლებრივი ურთერთობის რეგულირებისას, ასკ 173-ე მუხლი სპეციალური ნორმას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ

საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... სექტემბრის დადგენილება.

სარეზოლუციო ნაწილი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 276-ე, 278-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის 1^1 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. .....-ის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილებაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. .....-ის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილებაზე არ დაკმაყოფილდეს;

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის ..... დადგენილება დარჩეს უცვლელად;

4. დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე **ნანა კალანდაძე**